საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

№ 15/30 „11" 12 2015 წ

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება #15

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის დანიშვნის შესახებ

"სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების (დამტკიცებული 2014 წლის 8 ოქტომბრის ფაკულტეტის საბჭოს №9 ოქმითა და თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 9 ოქტომბრის №6 ოქმით) 33-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საბჭოს 2015 წლის 11 დეკემბრის სხდომის № 3 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე

ვბრძანებ

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსად დაინიშნოს პროფესორი ზურაბ დავითაშვილი;

2. ბრძანების ფაკულტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს ფაკულტეტის კანცელარიას;

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი თამარ დოლბაია

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax.
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

თამარ დოლბაიას

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ასოცირებული პროფესორის

სერგი კაპანაძის

წ ე რ ი ლ ი

ქალბატონო თამარ, წერილზე თანდართული დოკუმენტის სახით გიგზავნით სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების აკადემიური პერსონალის 2015 წლის 11 დეკემბრის სხდომის ოქმს, რომელზეც პროფესორი ზურაბ დავითაშვილი არჩეულ იქნა მიმართულების ხელმძღვანელად.

პატივისცემით,

სერგი კაპანაძე

ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

11.12.2015

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი
შემოსული N 1920 2 გვ.
"11" XII 2015
ხელმოწერა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების აკადემიური პერსონალის **2015 წლის 11დეკემბრის** კრების

ოქმი №3

ესწრებოდნენ: საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი პროფესორი ზურაბ დავითაშვილი, ასოცირებული პროფესორი სერგი კაპანაძე (კრების თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორი თორნიკე თურმანიძე, ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი, ასისტენტ–პროფესორი დავით მაცაბერიძე, ასისტენტ–პროფესორი სოფიო პეტრიაშვილი.

დღის წესრიგი: საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელის არჩევა.

მოისმინეს: საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ასოცირებული პროფესორის სერგი კაპანაძის ინიციატივა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელად არჩეულ იქნას პროფესორი ზურაბ დავითაშვილი.

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა ფიქრია ასანიშვილმა, ასოცირებულმა პროფესორმა თორნიკე თურმანიძემ და მხარი დაუჭირეს პროფესორ ზურაბ დავითაშვილის კანდიდატურას.

დაადგინეს: კრების ყველა მონაწილის თანხმობით, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელად არჩეულ იქნას პროფესორი ზურაბ დავითაშვილი და ოქმი წარედგინოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს.

კრების თავმჯდომარე ასოცირებული პროფესორი სერგი კაპანაძე

კრების მდივანი ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი

პროფესორი ზურაბ დავითაშვილი

ასოცირებული პროფესორი თორნიკე თურმანიძე

ასისტენტ პროფესორი სოფიო პეტრიაშვილი

ასისტენტ პროფესორი დავით მაცაბერიძე